

სმენის დაზიანების ადრეული და დროული დიაგნოსტიკის
მნიშვნელობა და გამოწვევები საქართველოში

თინათინ ერისთავი

*კვლევითი პროექტი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების
თერაპიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ცინცაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2023 წელი

აბსტრაქტი

აღნიშნული კვლევის მიზანია საქართველოში სმენის დროულ და ადრეულ იდენტიფიკაციაზე მოქმედი დადებითი და უარყოფითი ფაქტორების გამოვლენა და პროცესის გაუმჯობესებისთვის საჭირო რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევაში გამოყენებულია სამაგიდო კვლევის, სიღრმისეული ინტერვიუსა და ექსპერტული გამოკითხვის მეთოდები. სამაგიდო კვლევის ფარგლებში დამუშავდა სამეცნიერო ლიტერატურა, ადგილობრივი და საერთაშორისო პროტოკოლები, გაიდლაინები, პროგრამები, ბრძანებები და სხვ. სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდით გამოკითხა 20 მშობელი, რომელსაც ჰყავს სმენის დაზიანების მქონე ბავშვი. ექსპერტული გამოკითხვის ფარგლებში გამოკითხა 5 ექსპერტი, მათ შორის სმენის ექსპერტ(ებ)ი, სმენის სკრინინგში ჩართული პირ(ებ)ი, აუდიოლოგ(ებ)ი.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ სმენის დროულ და ადრეულ გამოვლენას სახელმწიფო თავის პრიორიტეტად აღიარებს და მოსახლეობას გარკვეულ მომსახურებებს სთავაზობს, მაგ. ახალშობილთა სმენის საყოველთაო სკრინინგს, რომელიც უფასოა მთელი პოპულაციისთვის. თუმცა არსებობს არაერთი ხელისშემშლელი ფაქტორი, რაც აფერხებს სმენის დაზიანების დროულ და ადრეულ გამოვლენას და შესაბამისად, ჩარევას.

Abstract

The objective of this research is to investigate the process of identifying hearing loss in Georgia, identify the positive and negative factors influencing timely and early detection, and formulate recommendations for enhancing the identification process.

The research employs desk research, in-depth interviews, and expert surveys as its methods. Desk research involved the examination of scientific literature, local and international protocols, guidelines, programs, orders, and other relevant sources. In-depth interviews were conducted with 20 parents who have a child with hearing loss. Additionally, an expert survey was conducted, involving interviews with 5 experts, including hearing experts, individuals involved in hearing screening, and audiologists.

The research findings indicate that the government acknowledges the importance of timely and early detection of hearing impairments and provides certain services to the population, such as Universal Newborn Hearing Screening (UNHS), which is free for all. However, there exist several barriers that impede the timely and early detection of hearing damage and subsequent intervention.

მადლობა

მადლობა სმენის პედიატრიულ ცენტრს „სმენის სახლი“ მატერიალური და ტექნიკური ბაზით მხარდაჭერისთვის და რეკომენდაციებისთვის.

კვლევაში მონაწილე ყველა პირს.

განსაკუთრებული მადლობა კვლევის სამეცნიერო ხელმძღვანელს, ნინო ცინცაძეს, გაწეული დახმარებისა და რეკომენდაციებისთვის.